პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 191 (9967) | პარასკევი, 13 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვერდი).
ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება — შეხვედრა ერედვში (მე-2 გვერდი).
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
ფართოდ გავავრცელოთ ნოვატორთა გამოცდილება (მე-3 გვერდი).
მ. უსიევიჩი. — რუსული მეცნიერების დიდი ... (მე-3 გვერდი).
პოპულარული ბროშურები ... (მე-3 გვერდი).
აღმოვფხვრათ უპასუხისმგებლობა ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

# კეთილმოწყობილი გზებისათვის

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო მოფენილია სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო გზებით. ამ სახის გზებთან ერთად ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მომსახურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გზატკეცილებს. ამას წინათ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებმა ზეიმით აღნიშნეს რკინიგზელის საკავშირო დღე. საავტომობილო ტრანსპორტი რკინიგზის ტრანსპორტის უმცროსი თანაშემწეა. ყოველწლიურად იზრდება მისი ხვედრითი წონა ტვირთზიდვისა და მგზავრების გადაყვანის საქმეში.

საავტომობილო ტრანსპორტის ნაყოფიერი მუშაობისათვის საარსებო მნიშვნელობა ენიჭება გზატკეცილების ქსელის გაფართოებას, მათს კეთილმოწყობას.

საქართველოში 2.600 კილომეტრი საერთო სიგრძის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები გვაქვს. თუ ამას მივუმატებთ 12.500 კილომეტრი სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, ცხადი გახდება, თუ რა ძლიერი უმცროსი თანაშემწე ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ გზატკეცილების კეთილმოწყობას, მათი ქსელის გაფართოებას. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გზების კაპიტალური შეკეთებისათვის გათვალისწინებულია 25 მილიონი მანეთი, საგზაო მექანიზმების კაპიტალური შეკეთებისათვის 2 მილიონი მანეთი, ხოლო გზების მიმდინარე შეკეთებისათვის — 23.750 ათასი მანეთი.

ახლა მთავარ ამოცანას წარმოადგენს გზების მოფარვა შავი საბურით. მარტო მიმდინარე წელს 141 კილომეტრი გზა უნდა მოიფაროს შავი საბურით. უკვე მთლიანად დაფარულია შავი საბურით მთელი რიგი მარშრუტის გზები. შავი საბურით მოფარულია და იფარება თბილისის საგარეუბნო კურორტებთან მისასვლელი გზები.

მაგრამ გზების კეთილმოწყობის საქმეში ჯერ კიდევ ვერა გვაქვს კარგად საქმე.

ბევრგან ხის ხიდ-ბოგირები არ არის შეცვლილი კაპიტალური რკინაბეტონის ხიდებით, მოუწყობელია ხევების გადასასვლელები. გზების მშენებლობაში ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გამოყენებული მასების შრომითი მონაწილეობა. სუსტად ინერგება მოწინავე რაიონების გამოცდილება. ადგილობრივი გზების კეთილმოწყობის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ადიგენის, ასპინძის, ტყიბულის, თიანეთის, ბორჯომის, გორის, თერჯოლის, აბაშის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონები. ამ რაიონების ხელმძღვანელებმა, კერძოდ რაისაბჭოების აღმასკომებმა და მათმა საგზაო განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობის მასობრივად გამოყვანა ხრეშის გამოსატანად.

ადიგენის რაიონმა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საჭირო საშენი მასალა აქვს, სამი წლის მანძილზე ვერ უზრუნველყო სოფელ უდესთან ადგილობრივი მნიშვნელობის ხიდის მშენებლობა, რადგან საკმაო რაოდენობით ვერ გამოიყვანა მუშახელი.

გზებისა და ხიდების მშენებლობა-შეკეთებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგზაო მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებას. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ პარტია და მთავრობა, როდესაც ჯერ კიდევ 1947 წელს თბილისსა და ქუთაისში შექმნეს საგზაო-სამანქანო სადგურები. ახლა საგზაო მშენებლობის სამსახურშია ხელით მძიმე შრომის შემცვლელი ისეთი მექანიზმები, როგორიც არის სკრეპერები, ბულდოზერები, გრეიდერები, ექსკავატორები, ტრაქტორები. მხოლოდ საჭიროა მათი მაქსიმალურად და მაღალნაყოფიერად გამოყენება.

რესპუბლიკაში 22 საგზაო უბანია. ბევრი მათგანი საექსპლოატაციო მომსახურების — არსებული გზების მოვლა-პატრონობის საქმეში წარმატებას აღწევს. ასეთია, მაგალითად, პირველი (სიღნაღის) საგზაო-საექსპლოატაციო უბანი (უფროსი ინჟინერი გ. ცაგარეიშვილი). მან გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მიიღო სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს გარდამავალი დროშა. კარგად მუშაობენ მეხუთე და მეშვიდე საგზაო-საექსპლოატაციო უბნები.

კერძოდ, მეხუთე საგზაო-საექსპლოატაციო უბანზე ფართოდ ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები. უბნის პირველი სასტატოს კოლექტივმა (გზის ოსტატი ა. ჯავახიშვილი, პროფორგანიზატორი ა. ცვეტკოვი) მოწოდებით მიმართა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საგზაო მეურნეობის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსსა და მოსამსახურეს საგზაო მეურნეობის ყველა დარგში შვიდი ნოემბრისათვის მაღალხარისხოვნად შეასრულონ 1954 წლის გეგმები. თვითონ ეს უბანი და მისი გზის ოსტატი მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

ბევრია საგზაო მეურნეობაში მოწინავე ადამიანი. ასეთები არიან გრეიდერისტი დეევი, მებულდოზერეები ანდრიუშენკო, ფილიმონოვი, ქურტაული, მძღოლი შავლაშვილი, რომელსაც მკერდს უმშვენებს „წარჩინებული მძღოლის" ნიშანი. მან ურემონტოდ გაირბინა 116.000 კილომეტრი, შეუფერხებლად ეზიდება ქვა-ღორღსა და ხე-ტყეს.

გზებზე ფართოდ უნდა დაინერგოს ამ მოწინავე ადამიანთა დადებითი გამოცდილება. გზები კულტურულად უნდა იქნას მოწყობილი, დაიდგას სკულპტურული ნაგებობანი, მოეწყოს ფანჩატურები მგზავრთათვის, გამწვანდეს გზის ნაპირები. რაც უფრო კარგი და კულტურული გზები გვექნება, მით უფრო დავიცავთ ავტოტრანსპორტს დაზიანებისაგან, უკეთ მოვემსახურებით მგზავრებს, შეუფერხებლად შევასრულებთ ტვირთზიდვის გეგმებს.

კულტურული გზებისათვის ბრძოლა საყოველთაო-სახალხო საქმეა. ამიტომაც არის, რომ საგზაო მშენებლობაში ათეულ მილიონობით მანეთის სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა თავისუფალ დროს მშრომელთა გამოსაყვანად საგზაო მშენებლობაზე.

ახლა საგზაო მშენებლობის ყველაზე საუკეთესო და გადამწყვეტი პერიოდია. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში კეთილმოწყობილ გზებს, საავტომობილო ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაისაბჭოების აღმასკომებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონკრეტული დახმარება საგზაო ორგანიზაციებისადმი, გადაჭრით გააუმჯობესონ საგზაო სამუშაოებისადმი კონტროლი, საგზაო ორგანიზაციებისადმი მომთხოვნელობა. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს მოეთხოვება განახორციელოს ყველა ღონისძიება საგზაო მშენებლობის, გზების კეთილმოწყობის მიმდინარე წლის გეგმების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

# სადილი დიდი ბრიტანეთის საელჩოში

11 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ უილიამ ჰეიტერმა სადილი გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმავალი და მოსკოვში გავლით მყოფი ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს ბ-ნი კ. ეტლი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები: გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. ვიშინსკი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი.

ინგლისის მხრივ სადილზე იყვნენ ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის წევრები: ბ-ნი კ. ეტლი, ბ-ნი ე. ბივენი, ქ-ნი ე. სამერსკილი, ბ-ნი უ. ბერკი, ბ-ნი მ. ფილიპსი, ბ-ნი ს. უოტსონი, ბ-ნი გ. ერნშოუ და ბ-ნი გ. ვ. ფრანკლინი.

სადილზე აგრეთვე იყვნენ: კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი დ. ბ. უოტკინსი და პაკისტანის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი მ. ს. ბეიგი.

სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

# საბჭოთა საქართველოს დღე

## უმჯობესდება მეშახტეთა შრომის პირობები

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ სისტემატურად უმჯობესდება მეშახტეთა შრომის პირობები. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებაზე ტყიბულში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. სანგრევების განიავების გაუმჯობესების მიზნით გაჭრილ იქნა რამდენიმე ასეული მეტრი სამთო გამონამუშევარი. ქვანახშირის ლავებში დაიდგა მძლავრი ვენტილატორები.

დიდი ყურადღება ექცევა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. თითქმის მთლიანად მექანიზებულია ქვანახშირის მონგრევა და ტრანსპორტირება. წარმატებით მიმდინარეობს ლითონის კონსტრუქციებით გამაგრების დანერგვა. ამჟამად ლითონის კონსტრუქციებით გამაგრებულია 3.026 მეტრი, ხოლო დღის სინათლის ელნათურებით გაჩირაღდნებულია 8.200 მეტრი სამთო გამონამუშევარი.

მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებაზე წელს ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტები 1,2 მილიონ მანეთს დახარჯავენ.

## აგიტმხატვრული ბრიგადა თრიალეთის საძოვრებზე

ბორჯომი. („კომუნისტის" კორ.). ათეულ ათასობით სული პირუტყვი დაუდით ქართლ-კახეთის რაიონების კოლმეურნეობებს თრიალეთის ქედის ქეცია-ნარიანის და უდაბნოს თვალუწვდენ საძოვრებზე. მწყემსებისა და ფერმის მუშაკების კულტურული მომსახურების მიზნით ბორჯომის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა ყოველწლიურად აწყობს იქ კონცერტებს, ატარებს ლექცია-საუბრებს.

წელსაც ბორჯომის კულტურის სახლის ბრიგადა ეწვია საძოვრებზე მყოფ მწყემსებსა და ფერმის მუშაკებს, მომსახურება გაუწია ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის და ტეზერის კოლმეურნე მეცხოველეებს, ბორჯომის რაიონის სოფლების ტაბაწყურის, ბალანთის, ლიკურის და გვერდისუბნის ველად გასულ კოლმეურნეებს და საძოვრებზე მყოფ მწყემსებს.

პროგრამაში იყო ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, ერთმოქმედებიანი პიესები, სკეტჩები, მოეწყო მოძრავი გამოფენა თემაზე „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის", გაიმართა ლექცია-საუბრები.

## ბიბლიოთეკა მტს-ში

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გახსნა ბიბლიოთეკა. აქ 2.000-მდე ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული და პოლიტიკური წიგნია. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ჟურნალ-გაზეთებით.

სატრაქტორო ბრიგადებიდან ხშირად მოითხოვენ წიგნებს. მათი მოთხოვნილება ყოველთვის სრულდება, ბიბლიოთეკა წიგნების გაგზავნას არ აყოვნებს.

## საქართველოს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

**კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.**

* * *

### ვალდებულებებს ანაღდებენ

#### მცხეთის მტს-ში

**სერგო ბიჭიაშვილის** მუშაობით კმაყოფილი არიან მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მან უკვე პირნათლად გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — 20 სამუშაო დღეში 300 ჰექტარის ნაცვლად აიღო 326 ჰექტარი პურეული.

#### თიანეთის მტს-ში

**ლევან წიწაკიშვილი** ახალგაზრდა კომკავშირელი მექანიზატორია. იგი წელს მოსავალს იღებს საყდრიონის კოლმეურნეობაში. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებით კომბაინერმა 20 სამუშაო დღეში 250 ჰექტარი პურეული უნდა აიღოს, 8 დღეში უკვე მომკა 110 ჰექტარი. მის აგრეგატზე ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა.

პირველი წელია კომბაინერად მუშაობს კომკავშირელი **გრიგოლ ზარიძე.** მკაზე საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იგი ეჯიბრება მექანიზატორ წიწაკიშვილს. 8 დღის განმავლობაში ზარიძემ აიღო 105 ჰექტარი პურეული სოფელ საყდრიონის კოლმეურნეობაში.

## საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის მოწინავე საწარმოები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და დაადასტურა საქართველოს კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების შესახებ. რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის პირველი ადგილი და პირველი ფულადი პრემია 22.500 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს (დირექტორი ს. გრიგოლია, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ხელაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე შ. გურამიძე).

მეორე ადგილი და ფულადი პრემია 9.000 მანეთის რაოდენობით მიკუთვნებული აქვს ქუთაისის სტამბას (დირექტორი დ. მანდარია, პარტორგანიზაციის მდივანი ს. ბახტაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ბასილაძე).

## ხილ-ბოსტნეულის მასობრივი გადამუშავება

საქართველოს საკონსერვო საწარმოებში მასობრივად გაჩაღებულია ხილ-ბოსტნეულის გადამუშავება. გადაჭარბებით შესრულებულია კონსერვების გამოშვების ივლისის გეგმა. ივლისში საქკონსერვტრესტის ყველა ქარხანამ და კომბინატმა გამოუშვა ერთნახევარი მილიონით მეტი ქილა კონსერვი, ვიდრე წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. მარტო ტყემლის კონსერვი ტრესტმა გამოუშვა ნახევარი მილიონით მეტი ქილა, ვიდრე ამ თვეში იყო დაგეგმილი.

კარგად იმუშავეს ივლისში სოხუმისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებმა, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. სულ ივლისში საქკონსერვტრესტმა გამოუშვა თითქმის ერთი მილიონი ქილით მეტი კონსერვი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

## სოფელ ახალდაბაში

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). ახალდაბა ერთ-ერთი ახალი დიდი საკოლმეურნეო სოფელია ოჩამჩირის რაიონში. განუხრელად იზრდება ახალდაბის კულტურული დონე. სოფელს აქვს საშუალო სკოლა, სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის შენობა, სოფლის მაღაზია, აბანო, ელექტრო და რადიოგაყვანილობა, წყალსადენი და სხვ. აქვს აგრეთვე სასოფლო კლუბი, რომლის სამკითხველოში სხვადასხვა სახელწოდების 2.500 წიგნია.

სამკითხველოს ჰყავს 200-მდე მუდმივი მკითხველი. ახალდაბელი კოლმეურნეები აქ ხშირი სტუმრები არიან. შრომისაგან თავისუფალ დროს კითხულობენ პოლიტიკურ, მხატვრულ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს.



ქუთაისი. ლენინის პროსპექტი.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

# სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

11 აგვისტოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბევრი ექსკურსანტის სამუშაო დღე დაიწყო საუბრებსა და ლექციებზე დასწრებით.

მანეჟში შეიკრიბა უკრაინის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ასობით მეცხვარე. მათთვის ცხვრის ახალი ჯიშების შესახებ მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ა. ბალმონტმა. შემდეგ დამსწრეთ უჩვენეს გამოფენაზე წარმოდგენილი საუკეთესო ჯიშის ნაზმატყლიანი ცხვრები.

გამოფენაზე გაჩაღდა დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ექსკურსანტებს გააცნონ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიღწევები და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ნოვატორთა მდიდარი გამოცდილება.

გამოფენის დირექტორის მოადგილემ ამხ. ბელიაევმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— გამოფენის სალექციო დარბაზებში ყოველდღიურად იკითხება ოთხი-ხუთი ლექცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პავილიონებში ეწყობა მოწინავეთა შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისათვის. მეცნიერ მუშაკებს გარდა, ლექციებს კითხულობენ და საუბრებს მართავენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ამხ. პუზანჩიკოვი, მალინინა, ორლოვსკი, ჩეხოვსკი, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეები — სოციალისტური შრომის გმირი მწველავი ამხ. კოვროვა, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ხოლმოგორკის" მწყემსი ამხ. პეტროვი და სხვები.

ჩანაწერები, რომლებსაც ექსკურსანტები აკეთებენ გამოხმაურებისა და სურვილების წიგნებში, შეიცავენ მადლობას გამოფენის მუშაკებისადმი.

მაგრამ, როგორც ამხ. ბელიაევმა აღნიშნა, გამოფენის მუშაობის პირველ დღეებში გამოვლინდა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. ადგილებზე ექსკურსანტთა ჯგუფებს ადგენენ სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებისაგან. ეს გარემოება უაღრესად აძნელებს მოწინავე გამოცდილების გადაცემის მოწყობას. გამოფენაზე სპეციალურ თემებზე მოწყობილი საუბრები და ლექციები ვერ აკმაყოფილებს შერეულ ექსკურსიებს. რთულდება პავილიონის ექსპონატების ჩვენება. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ექსკურსანტთა ჯგუფების შერჩევას, შეადგინონ ისინი უმთავრესად სოფლის მეურნეობის ერთი რომელიმე სპეციალობის მუშაკებისაგან. ეს საშუალებას მისცემს ექსკურსანტებს გამოფენაზე ყოფნის დრო მეტი სარგებლობით გამოიყენონ.

სერიოზული ყურადღება ექცევა პავილიონების ექსკურსიამძღოლთა საუბრების ხარისხის გაუმჯობესებას. პავილიონების ხელმძღვანელებს მიცემული აქვთ მითითება კავშირი დაამყარონ გამოფენაზე ჩამოსულ ნოვატორებთან, დაეხმარონ მათ თავიანთ მეურნეობებში მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმების შედგენაში. იბეჭდება ბევრი ბროშურა, რომლებშიც გაშუქებულია გამოფენის მოწინავეთა გამოცდილება, და პავილიონის მეგზურები. ეს მასალები სერიოზული სახელმძღვანელო იქნება ექსკურსანტებისათვის მათს სწავლაში. (საკდესი).

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში

სოჭი, 12 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). სოჭში დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

— მაყურებლის ინტერესი თბილისის ოპერის დადგმებისადმი, — განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ, — განუწყვეტლივ იზრდება. ყველა სპექტაკლი — დღისა და საღამოსი — მუდამ ხალხით გაჭედილ დარბაზში მიმდინარეობს.

გასტროლების დროს თეატრმა უკვე აჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", კ. დანკევიჩის „ბოგდან ხმელნიცკი", ჟ. ბიზეს „კარმენი", აგრეთვე ბალეტის სპექტაკლები — დ. თორაძის „გორდა" და პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა".

მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზ. ფალიაშვილის ოპერამ „აბესალომ და ეთერი", სოჭის გაზეთი „კრასნოე ზნამია" აღნიშნავს დადგმის მონუმენტალობას, მუსიკალური სახეების დამთავრებულობას, გუნდისა და ორკესტრის მკაფიო ჟღერას.

მაყურებელთა შორის დიდი წარმატება აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ბ. კრავეიშვილს, რომელმაც შეასრულა მურმანის პარტია ოპერა „აბესალომ და ეთერში", ონეგინისა ოპერა „ევგენი ონეგინში" და ესკამილიოსი ოპერა „კარმენში". გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. გოსტენინის გამოსვლებს ტატიანას როლში ოპერა „ევგენი ონეგინში" და ელენეს როლში ოპერაში „ბოგდან ხმელნიცკი", აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. ჩაკალიდის გამოსვლას ლენსკის როლში ოპერა „ევგენი ონეგინში" და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. ბელაქნელის გამოსვლას დონ-ხოზეს როლში ოპერა „კარმენში".

წარმატებით გამოდიან ახალგაზრდა მსახიობები შ. კიკნაძე (ონეგინი), ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), თ. თაქთაქიშვილი (ეთერი) და სხვები.

დიდ ინტერესს იწვევს თეატრის ბალეტის სპექტაკლები. როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ გამოდის სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი. მაღალი ქორეოგრაფიული ოსტატობა ცხადყვეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. წიგნაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ბაუერმა, მსახიობებმა ე. გელოვანმა, თ. სანაძემ.

## ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

# შეხვედრა ერედვში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნებული გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები [illegible] თავიანთ შთაბეჭდილებებს კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებმაც ისინი გაგზავნეს.

გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები [illegible] იმაზე, თუ რა ძვირფასი გამოცდილება [illegible] შეიძინეს მათ მოსკოვში გამოფენაზე [illegible] პროგრესული ხერხების [illegible] დანერგვის [illegible]. კოლმეურნეები, [illegible] მეურნეობების მუშები, [illegible] მეურნეო წარმოებაში დანერგვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

დღეიდან „კომუნისტი" იწყებს გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან შეხვედრების შესახებ მასალების გამოქვეყნებას.

[illegible]

### სანუკვარ ქალაქში

— როგორც იცით, მოსკოვი აქამდე არ მენახა, — დაიწყო ამხ. ქრისტესიაშვილმა, — ამიტომ უსაზღვრო იყო ის სიხარული, რაც განვიცადე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მივიღე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიწვევა გამოფენის გახსნაზე დასწრების შესახებ. 27 ივლისს მე გამოფენის გახსნაზე დასასწრებად გაგზავნილ ქართველ მშრომელთა პირველ ჯგუფთან ერთად უკვე მოსკოვისაკენ მიმავალ მატარებელში ვიჯექი. სწრაფად მიჰქროდა იგი. თვალს არ ვაშორებდი ფანჯარას. ვცდილობდი ყველაფერი კარგად დამეთვალიერებინა და გონებაში აღმებეჭდა. რა დიდი და ლამაზია ჩვენი ქვეყანა — მისი მთები, ველები, მინდვრები, რამდენი შრომაა ჩაქსოვილი მისი წარმტაცი ქალაქებისა და სოფლების შექმნაში! თბილისიდან გასვლის მესამე დღეს უკვე მოსკოვში — ჩვენს სანუკვარ ქალაქში ვიყავით.

### ხუთი დღე გამოფენაზე

აღფრთოვანებით, გატაცებით ლაპარაკობს ქრისტესიაშვილი, ალაგ-ალაგ ბლოკნოტიდან ჩანაწერებს იშველიებს, ხოლო ხანდახან გადახედავს მაგიდაზე გაშლილ გამოფენის გეგმას, „გზის მაჩვენებელს".

— ხალხმა სამართლიანად უწოდა გამოფენას გამოცდილების დიადი სკოლა, სახალხო უნივერსიტეტი, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — რაც მე იქ 5 დღის განმავლობაში შევიძინე, ალბათ მას ჩვეულებრივ პირობებში ათეული წლები დასჭირდებოდა, ან სად ვნახავდი. იგი ბოდიშს იხდის კოლმეურნეთა წინაშე, რომ მოკლე საუბარში დაწვრილებით ვერ ილაპარაკებს იმ უაღრესად მდიდარ და მრავალფეროვან ექსპონატებზე, რაც მან საკუთარი თვალით ნახა. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მაინც მოახერხა ამ ქალაქ-ბაღიდან, რომლის ტერიტორია 207 ჰექტარს შეადგენს და სადაც 76 პავილიონი და 231 შენობაა, დაეთვალიერებინა მისთვის ყველაზე საინტერესო და ცხოვრებაში გამოსადეგი.

აი, ცენტრალური შესასვლელიდან განიერი ხეივნით მივდივართ მთავარი პავილიონისაკენ, რომელიც გამოფენის მშვენებას წარმოადგენს; საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებენ ყაზახეთის, უკრაინის, საქართველოს პავილიონები თავიანთი არქიტექტურული გაფორმებითა და ექსპონატებით. ყველაზე დიდია მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონი — ტექნიკის უდიდესი სასახლე — მრავალი ახეული მომქმედი მანქანით.

### მეცხოველეობის პავილიონში

მეცხოველეობის პავილიონში მიღებულ შთაბეჭდილებებს ყველაზე მეტი ადგილი დაუთმო ი. ქრისტესიაშვილმა თავის საუბარში. მისი სიტყვით, ეს გასაგებიც იყო კოლმეურნეებისათვის, რადგან მეცხოველეობა ერედვის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასახარბიელო უბანს წარმოადგენს. მართალია, ერედველები ყოველთვის ასრულებენ პირუტყვის სულადობის გეგმებს, მაგრამ წლითიწლობით დაბალია პროდუქტიულობა.

რას არ ნახავს თვალი 40 ჰექტარზე განლაგებულ ნამდვილ ფერმებში.

— ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ყოველმხრივ კარგად და ლამაზად მოწყობილმა პირუტყვის ბინებმა, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ. გამოფენაზე დამებადა აზრი ჩვენს კოლმეურნეობაშიც ავაშენოთ სწორედ ისეთივე ბინები, როგორიც აქ მოწინავე კოლმეურნეობებს წარმოუდგენიათ. დიდი ყურადღებით ვისმენდი ექსკურსიამძღოლის საუბარს — ვიწერდი ცხოველთა კვების სანიმუშო რაციონს, ფერმებში სამუშაო დღის რეჟიმს, ვუკვირდებოდი ყოველივე ახალსა და პროგრესულს, რის დანერგვა წინ წასწევს ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობას.

— ახლა პირუტყვზე არ მკითხავთ! გამოფენაზე ვნახე კოსტრომული ჯიშის ძროხა „ვოლშებნიცა", რომელმაც ლაქტაციის პერიოდში მოიწველა 9.019 კილოგრამი რძე 4,22 პროცენტი ცხიმის შემცველობით. იქვეა 530 კილოგრამი წონის ღორი, ცხვრები, რომელთაგან თვითეული 126 კილოგრამს იწონის, უშველებელი ბუღა-მწარმოებლები.

— მე დიდი გულისყურით ვათვალიერებდი მარცვლეულის პავილიონს, მებაღეობის პავილიონის ექსპონატებს, ვხვდებოდი მოწინავე მემინდვრეებს, მევენახეებს, მებაღეებს, მეცხოველეებს... ყოველივე ამის შემდეგ მტკიცედ შემიმუშავდა აზრი, რომ ჩვენს კოლმეურნეობას მოსავლიანობის გადიდებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების ბევრი გამოუყენებელი რეზერვი აქვს. ახალი მძლავრი აღმავლობის მიღწევა და საერთო წარმატებათა გამრავლება შეიძლება მხოლოდ მთელი მეურნეობის კომპლექსური განვითარების პირობებში. ამიტომ კოლმეურნეობაში ყველა ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ თვითეული ჰექტარი მიწის შემოსავალი, გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, რაც აგრეთვე საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

### ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ზღვარი როდია

— ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა. გასულ წელს გადაჭარბებით გავანაღდეთ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ხილის მოსავლიანობის დაწესებული გეგმები. უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ცალკეულ მოწინავეებს. მაგრამ, რომ არა ვთქვათ რა ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაზე, რომლის გეგმებს ვერ ვასრულებთ, სიმინდის, ჭარხლისა და ხილის მიღწეული მოსავლიანობაც არ არის ზღვარი. ამას ნათელყოფს მაჩვენებლები თუნდაც ჩვენი ზოგიერთი ბრიგადისა და რგოლისა, რომლებიც ერთნაირ პირობებში განსხვავებული რაოდენობით იღებენ მოსავალს. მაგალითად, თუ მერგოლეურმა მ. ტარიელაშვილმა შარშან 4 ჰექტარი ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე 310 ცენტნერი ხილი მიიღო, თ. მარსურაძის ნაკვეთში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 110 ცენტნერს არ აღემატებოდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმაც თითქმის ორნახევარჯერ გადააჭარბა მიცემულ დავალებას. ასეთივე მაგალითების მოყვანა სხვა კულტურების მიმართაც შეიძლება.

მაშ რა არის წარმატების წყარო? მხოლოდ მაღალი აგროტექნიკა, ადამიანთა უნარი — გამოართვან მიწას იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია, გონივრულად გამოიყენონ მანქანები, სრულყონ შრომის ორგანიზაცია მემინდვრეობის ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. არის თუ არა მოსავლიანობის გადიდების რეზერვი ის, რომ წელს სამჯერ გავთოხნეთ კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდი, როცა შარშან ძლივს მოვასწრეთ ჩვეულებრივ ნათესი ამ კულტურის ორჯერ გათოხნა?

გაცილებით უკეთესად არის წელს მოვლილი და უხვ მოსავალს მოველით ხეხილის ბაღებიდან, ვენახიდან, ჭარხლის პლანტაციებიდან.

მოსკოვში მიღებული გამოცდილების საფუძველზე ჩვენ შემდგომ უნდა გავაფართოოთ კოლმეურნეობის ეკონომიკის ძირითადი წყაროს — ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი, კიდევ უფრო განვავითაროთ მებოსტნეობა და, რაც მთავარია, ყველაფერი გავაკეთოთ მარცვლეული მეურნეობის აღმავლობისათვის, ეს ამავე დროს შექმნის ბაზას მეცხოველეობის განვითარებისათვის.

როგორც იცით, შარშან ერთგვარად განვამტკიცეთ საკვები ბაზა. თვითეულ სულ ძროხაზე ჩავდეთ 2-2,5 ტონა სილოსი, მოვიმარაგეთ კონცენტრატები განსაზღვრული რაოდენობით და სხვ. ამის შედეგად წელს, თუ მეტად არა, ერთნახევარჯერ მაინც იმატა ძროხების პროდუქტიულობამ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მერძეულ პირუტყვს ჩვენ მაინც არასაკმარისად ვკვებავთ წვნიანი საკვებით, მწვანე მასით, სილოსითა და კონცენტრატებით. გამოფენაზე მე გავეცანი კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის" საკვები ბაზის ორგანიზაციას. ეს გამოცდილება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, წელს თვითეულ ძროხაზე უნდა გვექნეს 5-6 ტონა სილოსი. კვების რაციონი გამდიდრდება საკვები გოგრით, კომბოსტოთი, ჭარხლით, რაც საკმაო რაოდენობით გვითესია, შარშან კი არ გვქონდა.

ჩვენ მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა, გავადიდოთ ძროხების ხვედრითი წონა პირუტყვის საერთო ჯოგში.

მემინდვრეობაში ფართოდ უნდა დავნერგოთ ხორბლის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად, ხოლო სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად თესვა, ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის ქოთნებში.

შეხვედრაზე, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის აგრონომი ტ. ცაგარეიშვილი, მემინდვრეობის ბრიგადირი ნ. ზერუაშვილი და სხვები, რომლებმაც პირობა დადეს მომავალში იმუშაონ უფრო კარგად, ფართოდ დანერგონ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, მოიპოვონ გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

**კრებამ დაადგინა:** გამოფენაზე მიღებული გამოცდილების გამოყენების საფუძველზე მომავალი წლისათვის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ მცირე 20-22 ცენტნერი პური, 50 ცენტნერი სიმინდი, 90 ცენტნერი ყურძენი, 200 ცენტნერი ხილი და 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 1.500 ლიტრი რძე.

საშემოდგომო პურეულის მთელი ფართობის 90 პროცენტი დათესონ ჯვარედინად, ხოლო სიმინდის ფართობის 80 პროცენტი — კვადრატულ-ბუდობრივად, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ნათესების მოვლა-პატრონობა, განახორციელონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება.

გაადიდონ ბოსტნეულის ნათესი ფართობი 6,5 ჰექტარით, ვენახისა — 6 და ხეხილის ბაღისა — 30 ჰექტარით.

პირუტყვის საერთო ჯოგში ძროხების რაოდენობა აიყვანონ 50 პროცენტამდე, მათ შორის ჯიშიანი პირუტყვისა — 90 პროცენტამდე, ფართოდ დანერგონ მწვანე კონვეიერი, საკვების თესლბრუნვა. მომავალი წლისათვის ააშენონ პირუტყვის ორი სტანდარტული ბინა და გაატარონ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

**გ. ზუკაკიშვილი,**
**ი. თედიაშვილი,**

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 11 აგვისტოს ცნობებით)

(გეგმის შესრულება პროცენტობით)

| რაიონები | წლიურისა | აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით |
|---|---|---|
| ბათუმის | 73.0 | 35,9 |
| ქობულეთის | 64,4 | 24,0 |
| ქედის | 67,5 | 25,0 |
| **სულ აჭარაში** | **66,5** | **26,4** |
| გალის | 64,0 | 18,2 |
| ოჩამჩირის | 67,9 | 20,1 |
| გულრიფშის | 73,5 | 28,2 |
| სოხუმის | 61,6 | 18,4 |
| გუდაუთის | 65,8 | 19,4 |
| **სულ აფხაზეთში** | **65,8** | **19,2** |
| მახარაძის | 58,5 | 16,4 |
| ჩოხატაურის | 61,6 | 16,4 |
| ლანჩხუთის | 61,3 | 21,4 |
| სამტრედიის | 45,6 | 12,1 |
| წულუკიძის | 56,8 | 18,5 |
| ქუთაისის | 58,0 | 15,1 |
| წყალტუბოს | 83,7 | 40,9 |
| ტყიბულის | 55,2 | 13,5 |
| ცხაკაიას | 51,4 | 17,1 |
| აბაშის | 40,0 | 14,5 |
| გეგეჭკორის | 60,8 | 21,0 |
| ზუგდიდის | 58,6 | 21,5 |
| წალენჯიხის | 71,1 | 26,8 |
| ჩხოროწყუს | 67,0 | 24,8 |
| ხობის | 45,9 | 8,1 |
| თერჯოლის | 52,6 | 3,2 |
| ზესტაფონის | 74,3 | 2,5 |
| **სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში** | **62,0** | **20,2** |

შენიშვნა: ხობის რაიონის ცნობები არასრულია.



მაღალი ხარისხის ტრიკოტაჟითა და ქალის წინდებით მოსახლეობის მომარაგებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. მან ვადამდე გაანაღდა მიმდინარე წლის შვიდი თვის დავალება. სურათზე: მქსოველი პ. მელაძე, რომელიც ქალის წინდების საქსოვ დაზგაზე მუშაობს, ამოწმებს ქსოვის ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## მკითხველთა წერილები

### საწარმოო თათბირები წარმოების საკითხებზე

ეს ერთი ხანია ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მესამე შახტში, რომელსაც ა. ლომია ხელმძღვანელობს, წესად შემოიღეს წარმოების მთავარი, საკვანძო საკითხების გადასაჭრელად სპეციალური საწარმოო თათბირების მოწვევა. შახტის ხელმძღვანელები, უბნის უფროსებისა და მოწინავე მეშახტეების მონაწილეობით წინასწარ გულდასმით ამუშავებენ საკითხს საწარმოო თათბირზე განსახილველად, აყენებენ კონკრეტულ ამოცანებს გადასაწყვეტად. მეშახტეები დიდი ინტერესით მონაწილეობენ ამ საკითხების გადაწყვეტაში, შეაქვთ თავიანთი წინადადებები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე.

პ. ბარქაია.

### რაციონალიზატორთა შემოქმედების პოპულარიზაცია

ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანაში შემოიღეს რაციონალიზატორთა შემოქმედებითი მუშაობის წახალისების ახალი ფორმა, რომელიც კარგ შედეგს გვაძლევს. ქარხნის ეზოში სპეციალურად მოაწყეს დიდი დაფა, რომელზეც სისტემატურად ქვეყნდება საუკეთესო რაციონალიზატორული წინადადებათა შინაარსი და ამ წინადადებათა ავტორების ვინაობა. დაფაზე ქვეყნდება აგრეთვე შემოტანილ წინადადებათა მოძრაობის ამბები — ვის გადაეცა იგი შესასწავლად, სად რა კეთდება მის განსახორციელებლად და ა. შ.

წელს ამ ქარხანაში უკვე განახორციელეს მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, რაც საწარმოს 130.000 მანეთზე მეტ ეკონომიას აძლევს. (საკ. კორ.).

### ცხაკაიას რაიონში

#### რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

რაიონული ცენტრის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიზნით ქალაქის ბაღში, გაზონებსა და ახლომახლო ტერიტორიაზე დაირგო 2.700 ძირი სხვადასხვა ჯიშის დეკორაციული მცენარე და ხეხილი, რომელთა 95 პროცენტი გახარებულია. ცენტრალური ქუჩებისა და რკინიგზის სადგურის მოედნის 4.980 კვადრატულ მეტრ ფართობზე დააგეს ასფალტი. მოკლე დროში მოასფალტდება რუსთაველისა და წერეთლის ქუჩები. მოკირწყლულია 1.000 კვადრატული მეტრი ტერიტორია.

დაიწყო ახალი, 100-საწოლიანი რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა, რაზეც 3.812 ათასი მანეთი დაიხარჯება. რუსთაველის ქუჩაზე მიმდინარეობს კირის ქარხნის მუშებისათვის სამსართულიანი და ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის მუშებისათვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

#### მეცხოველეობის ბინების მშენებლობა

მთელ რიგ კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა. მექანიზებული ფერმის სტანდარტულ შენობას აგებენ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფერმაში მოეწყობა ავტომატური სარწყულებლები, ჩალისა და საკვები ძირხვენების საჭრელი და დასაორთქლებელი დანადგარები.

გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა წლის დამლევამდე უნდა ააშენონ მეცხოველეობის 14 სტანდარტული ნაგებობა თვითეული 52 სული პირუტყვის ტევადობისა, 8 სახბორე, 10-მდე საფრინველე და სხვ. ფრინველისა და ღორის სადგომების მშენებლობა უკვე დამთავრებულია თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის, უშაფათის ორჯონიკიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

#### ლექციები კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისათვის

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ცხაკაიას რაიონული განყოფილება ხშირად მართავს ლექცია-მოხსენებებს კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისათვის.

მიმდინარე წლის 6 თვეში განყოფილებამ რაიონში მოაწყო 83 ლექცია, აქედან ადგილობრივი ძალებით 67.

ა. პატარაია,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გადაზიდვის მსვლელობის საკითხი და ცნო, რომ კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გადაზიდვა ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები იწყნარებენ კომბაინებისა და ავტომანქანების გაგზავნის დავალების შესრულებისადმი არასწორ, კუთხურ დამოკიდებულებას და აფერხებენ მათს გაგზავნას. დაწესებულ ვადებში არ არის შესრულებული კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვის, კამენსკის, სტალინგრადის ოლქების, აგრეთვე უკრაინის სსრ ჩერკასკის, ყირიმის, კიროვოგრადისა და ოდესის ოლქების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან კომბაინების გაგზავნის დავალებანი. დაწესებულ ვადებში შესრულებული არ არის აგრეთვე ქალაქებიდან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, დონის როსტოვიდან, სარატოვიდან, ჩელიაბინსკიდან და კემეროვოს ოლქიდან სატვირთო ავტომობილების გაგზავნის დავალებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცნო, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო (ამხ. პუზანოვი) და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ამხ. ბენედიქტოვი) არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გაგზავნისადმი და საჭირო ღონისძიებებს არ იღებენ დაწესებულ ვადებში ამ სამუშაოს დამთავრებისათვის.

გზათა სამინისტრო (ამხ. ბეშჩევი) უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს კომბაინებისა და ავტომობილების გადაზიდვის საქმისადმი, არ უზრუნველყოფს ვაგონების დროზე მიწოდებას მანქანების გასაგზავნად და არ ახორციელებს ყოველდღიურ კონტროლს რკინიგზებით მათი მოძრაობისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, იმ ოლქებისა და მხარეების საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს, რომლებსაც აქვთ ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გადაზიდვის დავალება, დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გაგზავნის დასამთავრებლად, აგრეთვე დაწესებულ ვადებში კომბაინერების, [illegible] შოფერების, მექანიკოსებისა და ავტორაზმების სხვა მუშაკების გასაგზავნად.

პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, იმ ოლქებისა და მხარეების საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს, რომლებიც იღებენ კომბაინებსა და სატვირთო ავტომობილებს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ მოაწყონ მოსული მანქანების მიტანა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, შექმნან საჭირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები მივლინებული კომბაინერებისათვის, შოფერებისა და სხვა მუშებისათვის და უზრუნველყონ მიღებული ტექნიკის დიდი წარმადობით გამოყენება მოსავლის აღებასა და მარცვლეულის გამოზიდვაში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია გადაჭრით გააუმჯობესოს კონტროლი კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გადაზიდვისადმი და მოაწყოს მათი სწორი გამოყენება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა გზათა სამინისტროს უზრუნველყოს ვაგონების შეუფერხებელი მიწოდება კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გადასაზიდავად და კონტროლი რკინიგზებით მათი მოძრაობისადმი.

გზათა მინისტრს ამხ. ბეშჩევს დაეკისრა პერსონალური პასუხისმგებლობა კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების გასაგზავნად ვაგონების დროზე მიწოდებისა და გზაში მათი დაჩქარებული მოძრაობისათვის.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ყაზახეთისა და ციმბირის რაიონებში კომბაინებისა და სატვირთო ავტომობილების დროზე მიტანას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა გზათა სამინისტროს პოლიტსამმართველოს, რკინიგზის კვანძების განყოფილებებს, სადგურების პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ განუმარტონ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს ყამირი მიწების რაიონებში კომბაინებისა და ავტომობილების უსწრაფესი გაგზავნისა და გადაზიდვის მნიშვნელობა და დარაზმონ რკინიგზელები პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესი დავალების უთუოდ შესრულებისათვის.

რკინიგზის ტრანსპორტის კომუნისტები არ უნდა ურიგდებოდნენ ისეთი უმნიშვნელოვანესი ტვირთის გაგზავნაში შეფერხებას, როგორიც არის კომბაინები და ავტომობილები, რომელთა მიღებაზე სოფლის მეურნეობაში ამჟამად დამოკიდებულია მოსავლის დროზე აღება და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულება.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

22 ივლისს ავსტრიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა ნოტა, რომელშიც წამოყენებული იყო წინადადება შეიქმნას სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებისაგან კომიტეტი ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც „ავსტრიის არსებული მდგომარეობის შემსუბუქებას" შეეხება.

12 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა მ. გ. გრიბანოვმა ავსტრიის ელჩს სსრ კავშირში ბ-ნ ნ. ბიშოფს გადასცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

„ადასტურებს რა ავსტრიის მთავრობის 22 ივლისის ნოტის მიღებას, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა კონკრეტული წინადადებანი ავსტრიის საკითხის რაც შეიძლება მალე მოწესრიგების მიზნით, მაგრამ ეს წინადადებები არ მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, რის შედეგად ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შესახებ.

თავის ნოტაში ავსტრიის მთავრობა აყენებს წინადადებას შეიქმნას საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ელჩებისაგან კომიტეტი ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც უნდა განიხილოს მხოლოდ ცალკეული საკითხები, რომლებიც „ავსტრიის არსებული მდგომარეობის შემსუბუქებას" შეეხება. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიზნით კომიტეტის შექმნა ვერ უზრუნველყოფს შეთანხმების მიღწევას სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ, რომლის დადება გადაწყვეტს ყველა კერძო საკითხს, რომლებიც ავსტრიის არსებული მდგომარეობის შემსუბუქებასაც შეეხება.

საბჭოთა მთავრობა კვლავ ფიქრობს, რომ არის სრული შესაძლებლობა დაიდოს სახელმწიფო ხელშეკრულება თავისუფალი და დამოუკიდებელი ავსტრიის სახელმწიფოს აღდგენის მიზნით და მიზანშეწონილად მიაჩნია, როგორც იგი ამის შესახებ აცხადებდა ბერლინის თათბირზე, რომ მოლაპარაკება სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ გაგრძელდეს დიპლომატიური წესით ქალაქ ვენაში ავსტრიის მთავრობის მონაწილეობით. ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ თანახმაა მოწვეულ იქნას ვენაში სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების თათბირი ავსტრიის წარმომადგენლის მონაწილეობით, რომელიც შეუდგებოდა მოუწესრიგებელი საკითხების განხილვას, რომლებიც ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტს შეეხება, და სხვა საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების დადებასთან".

ბ-ნმა ბიშოფმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს ავსტრიის მთავრობას საბჭოთა მთავრობის ამ ნოტის შინაარსს.

# ფართოდ გავავრცელოთ ნოვატორთა გამოცდილება

[illegible]

# კარგი ინიციატივა

[illegible]

შ. ამირანაშვილი.

# პოპულარული ბროშურები უკრაინაზე



[illegible]

სების ერთიანობას.

ბროშურის ავტორი მოგვითხრობს იმ უდიდეს სიძნელეებზე, რომლებიც გადალახა უკრაინელმა ხალხმა, ვიდრე გახდებოდა მსოფ-

[illegible]

# აღმოვფხვრათ უპასუხისმგებლობა ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობაში

წელს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წინა წლებთან შედარებით ხილისა და ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. ეს სავაჭრო ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს შეუფერხებლად მოამარაგონ სოხუმის მოსახლეობა ხილითა და ბოსტნეულით. მაგრამ როგორც შემოწმებამ ცხადყო, ეს შესაძლებლობა მათ ვერ გამოიყენეს, ქალაქის ხილ-ბოსტნეულით მომარაგება თვითდინებას მიანდეს. ამიტომ ეს საქმე ფაქტიურად ჩაშლილია.

ქალაქის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეს ემსახურებიან საკოლმეურნეო მაღაზიები და ფარდულები, სოხუმკოოპვაჭრობის მაღაზიები და პავილიონები, არტელი „ინვალიდთა ვაჭრობა". მათი უთავბოლო და მოუქნელი მუშაობის შედეგად სავაჭროებში ვერ ნახავთ ბოსტნეულს, სამაგიეროდ ბლომად აქვთ ღვინო, არაყი, კონიაკი.

საერთოდ საკოლმეურნეო ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო წერტებს, რომლებიც ქალაქში ათობით არის, არავინ აქცევს ყურადღებას. ამის შედეგიც არის, რომ ამ სავაჭროებში ხშირია ზოროტმოქმედების, ფასების დამახინჯების, გაფლანგვა-მითვისების შემთხვევები. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

№ 1 საკოლმეურნეო ბაზრის ახლოს, სტალინის ქუჩაზე გახსნილია გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ხილისა და ბოსტნეულის ფარდული, რომლის გამგე-გამყიდველად მუშაობს გაქნილი თაღლითი აკაკი ჩაბრავა. აღნიშნული სავაჭრო წერტი ჩაბრავამ კერძო სავაჭროდ გადააქცია. ა. ჩაბრავამ ა. წ. 5 ივლისს მაღაზიაში გასაყიდად მოიტანა 85 კილოგრამი საკუთარი მსხალი და ვაშლი, 12 კილოგრამი იმერული ყველი, 20 კილოგრამი კიტრი, რომლებიც სპეკულაციურ ფასებში გაყიდა, ნავაჭრი ჯიბეში ჩაიდო, ხოლო კოლმეურნეობას ამ „ღვაწლისათვის" შრომადღე დააწერინა. გათამამებულმა ჩაბრავამ გამყიდველად თვითნებურად აიყვანა ვინმე მიხეილ შენგელია. არავინ იცის, თუ რა გზით უნაზღაურებს ა. ჩაბრავა შრომას მ. შენგელიას, როცა მას ასეთი შტატი არა აქვს.

19 ივლისს „გამყიდველმა" მ. შენგელიამ რეალიზაცია უყო თავისი გამგის — ა. ჩაბრავას 50 კილოგრამ ვაშლს, 25 კილოგრამ მსხალს, 55 კილოგრამ კიტრს და ნავაჭრი პატრონს ჩააბარა.

მ. შენგელიას ერთგულებითა და მოხერხებით აღფრთოვანებულმა ა. ჩაბრავამ მას თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა. მ. შენგელიაც სარგებლობს ამ „უფლებით" და წერტში გასაყიდად შეაქვს თავისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების პროდუქტები. წერტში კოლმეურნეობის პროდუქტებიდან მხოლოდ კიტრი იყიდება, მაგრამ ისიც ისეთ ადგილზეა დაყრილი, რომ მომხმარებლისთვის შეუმჩნეველი რჩება.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვა საკოლმეურნეო სავაჭროებშია. ამავე რაიონის სოფელ ბაღმარანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ს. ქარდავა) ხილ-ბოსტნეულის ფარდულში გამგე ა. კარტოზიას 22 ივლისს 39 კილოგრამი პამიდორი, 8 კილოგრამი [illegible] უფაქტუროდ ჰქონდა, თვითონ კი ამ დროს იქვე თავის ძმა-ბიჭებთან ქეიფობდა.

ქალაქში ფორმალურად არსებობს გულრიფშის რაიონის სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. კონდაქჩიანი) ხილ-ბოსტნეულის წერტი (გამგე-გამყიდველი ვ. ახალაია). სოფელი ოქტომბერი განთქმულია ხეხილის ბაღებითა და ბოსტნეულის უხვი მოსავლით, წერტში კი სრულებით ვერ ნახავთ კიტრს, პამიდორს, კომბოსტოს და სხვა ბოსტნეულს.

დამახასიათებელია ისიც, რომ ბევრი საკოლმეურნეო სავაჭრო სისტემატურად დაკეტილია. მათი გაღება გამყიდველთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ქალაქის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ სოხუმის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. კვიკვინია, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მუშკუდიანი). სოხუმის რაიონი ქალაქ სოხუმის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს. ფაქტიურად ეს ასე არ არის. ამ რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა სრულებით არ ვაჭრობს ქალაქად.

მოუქნელად მუშაობენ სოხუმკოოპვაჭრობა (დირექტორი ვ. კვარაცხელია) და არტელი „ინვალიდთა ვაჭრობა" (თავმჯდომარე ვ. კუხალეიშვილი). მათ დავალებული აქვთ კოლმეურნეობებში ხილ-ბოსტნეულის შესყიდვა და საბაზრო ფასებთან შედარებით 10-15 პროცენტით ნაკლებ ფასებში რეალიზაცია. სინამდვილეში ორივე ორგანიზაცია შესყიდულ პროდუქტებს გაცილებით უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე ბაზარზე იყიდება. ამასთან აღნიშნული ორგანიზაციების ხვედრითი წონა ქალაქის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში ძალიან უმნიშვნელოა. სოხუმკოოპვაჭრობას ქალაქში აქვს მხოლოდ ერთი მაღაზია და ორი პავილიონი. საჭირო პროდუქტები იქ ნაკლებად მოიპოვება.

ცუდად მუშაობს № 1 საკოლმეურნეო ბაზარი (დირექტორი ქ. ჯენია). რადგან ფარდულები საჭირო რაოდენობით არ არის, ბაზარში ხილ-ბოსტნეული მიწაზე ყრია. ამასთან აუტანელი უსუფთაობაა. ბაზრის დირექციას 14 კოლმეურნეობასთან ხელშეკრულება აქვს დადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანის შესახებ. მაგრამ ამ კოლმეურნეობათა უმრავლესობა ხელშეკრულებას არ ასრულებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქალაქ სოხუმის მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგებას გულშემატკივარი არა ჰყავს.

ქალაქ სოხუმში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის საქმეში მტკიცე წესრიგი უნდა დამყარდეს.

**გ. წირღვავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# რუსული მეცნიერების დიდება

## ი. მ. სეჩენოვის დაბადების 125 წლისთავის გამო



125 წლის წინათ, 1829 წლის 13 აგვისტოს, სიმბირსკის გუბერნიის სოფელ ტიოპლი სტანში ხელმოკლე მემამულის ოჯახში დაიბადა დიდი მეცნიერი, რუსული მეცნიერების დიდება, ივანე მიხეილის-ძე სეჩენოვი.

ივანე მიხეილის-ძე 14 წლამდე ოჯახში იზრდებოდა. შემდეგ მიაბარეს პეტერბურგის მიხეილის სახელობის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში, რომელიც 1848 წელს დაამთავრა. სეჩენოვი ოფიცრად გაგზავნეს მესანგრე პოლკში, რომელიც კიევთან იდგა.

სამხედრო სასწავლებელში სეჩენოვის საყვარელი საგნები იყო მათემატიკა და განსაკუთრებით ფიზიკა.

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში სეჩენოვი, იგონებდა რა თავისი ცხოვრების იმ პერიოდს, აღიარებდა, რომ მაშინ იგი ჭაბუკიდან, რომელიც დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ცხოვრების დინებას, გადაიქცა შეგნებულ ადამიანად, რომელსაც ჰქონდა ნათელი მიზანი — ყოფილიყო სასარგებლო თავისი ხალხისათვის, ყოფილიყო ხალხის ყველაზე ერთგული მსახური. 1850 წლის შემოდგომაზე სეჩენოვმა მოახერხა სამსახურიდან გადადგომა და ჩავიდა მოსკოვში, სადაც ჯერ თავისუფალ მსმენელად შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, ხოლო 1851 წლიდან სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. უნივერსიტეტში ხუთი წლის ყოფნამ განსაზღვრა სეჩენოვის შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა.

მეცნიერს ყველაზე მეტად ფიზიოლოგია იზიდავდა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყველაზე მეტად მოიხვეჭეს სახელი გერმანელმა ფიზიოლოგებმა იოჰან მიულერის მეთაურობით. სეჩენოვი გერმანიაში ჩავიდა არა მარტო იმისათვის, რომ გასცნობოდა მაშინდელი ფიზიოლოგიის მიღწევებს, არამედ იმისათვისაც, რომ გამოეკვლია, თუ რა გავლენას ახდენს ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმზე. არ შეიძლებოდა, რომ ამ საწამლავით ხალხის გაბრუების სურათებს არ მიეპყრო ახალგაზრდა მეცნიერის ყურადღება. აი ამიტომ ისწრაფოდა იგი შეეტყო, თუ რა არის ალკოჰოლიანი სასმელებით მოწამვლის არსი.

სამწელიწადნახევრის მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო ი. მ. სეჩენოვისათვის. მან დაწერა სადოქტორო დისერტაცია. 1860 წლის დამდეგს, როცა მას კათედრა შესთავაზეს პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, იგი მშვენივრად იყო მომზადებული პროფესორის მოღვაწეობისათვის.

მან ბრწყინვალედ დაიცვა პეტერბურგში დისერტაცია თემაზე, თუ რა გავლენას ახდენს ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმზე. ამის შემდეგ დაიწყო სეჩენოვის ნაყოფიერი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა. მისი ლექციები, კერძოდ ელექტრულ მოვლენათა შესახებ ცოცხალ ქსოვილებში, უამრავ მსმენელს იზიდავდა.

ი. მ. სეჩენოვმა ფართოდ გაუღო თავისი ლაბორატორიის კარი ახალგაზრდა ქალებს, რომელნიც ისწრაფოდნენ მიეღოთ უმაღლესი სამედიცინო განათლება. სეჩენოვის გარშემო შეიკრიბა რამდენიმე ქალიშვილი და ჭაბუკი, რომელნიც ახალგაზრდა მეცნიერის ხელმძღვანელობით ასრულებდნენ მეცნიერულ მუშაობას. მათ შორის იყო სუსლოვა — შემდეგ პირველი ექიმი ქალი რუსეთში, პაშუტინი, თარხნიშვილი — მომავალი დიდი მეცნიერები — და იმ დროის მთელი რიგი სხვა მოწინავე ადამიანები.

სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გაჩაღდა მუშაობა, რომლის მიზანი იყო უმთავრესად აღმოეჩინათ ნერვული სისტემის მოქმედების კანონზომიერებანი. ეს მიმართულება იმ ფიზიოლოგიური ლაბორატორიის მუშაობაში, რომელსაც სეჩენოვი ხელმძღვანელობდა, შემთხვევითი როდი იყო. ნერვული სისტემის როლით მაშინ დაინტერესებული იყო რუსეთის ბევრი გამოჩენილი მოწინავე ადამიანი, განსაკუთრებით რევოლუციონერი დემოკრატები ა. ი. გერცენი, ბ. გ. ბელინსკი და ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ბუნებისმეტყველების შესწავლა საჭიროა რევოლუციური მსოფლმხედველობის შესამუშავებლად. სეჩენოვი განსაკუთრებით დაახლოებული იყო ჩერნიშევსკისთან, გულისხმიერად ისმენდა მის რჩევა-დარიგებას და მისი იდეური მეგობარი და მიმდევარი იყო.

იმ წლებში გაბატონებული იყო რწმენა, რომ ადამიანის ბუნება ორმაგია, რომ პრიმატი სულს ეკუთვნის სხეულის წინაშე, რომ სულიერი ან ფსიქიკური პრინციპულად განსხვავდება სხეულებრივის ან ფიზიკურისაგან. ეს რწმენა ზიზღს ჰგვრიდა რევოლუციონერ დემოკრატს ჩერნიშევსკის და მებრძოლ მატერიალისტს სეჩენოვს. ამიტომ ჯერ კიდევ სადოქტორო დისერტაციის თეზისებში ი. მ. სეჩენოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თავის ტვინის მოქმედება რეფლექტორული მოქმედებაა. იგი ამტკიცებდა დებულებას, რომ რეფლექტორულია ბუნება ეგრეთწოდებული ნებისმიერი მოძრაობისა, რომელიც გარეშე გაღიზიანების პასუხიაო. სეჩენოვმა კათედრაზე ექსპერიმენტული მუშაობის, აგრეთვე საზღვარგარეთ შემდგომი გამგზავრების დროს (1862 წელი), სადაც იგი წავიდა მუშაობის იმ აუტანელი პირობების გამო, რომლებიც რეაქციამ შეუქმნა, ნახა მთელი რიგი ახალი ფაქტები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განამტკიცეს მისი მატერიალისტური შეხედულებანი თავის ტვინის მოქმედებაზე. მეცნიერის აღმოჩენა იყო, ჯერ-ერთი, ის, რომ თანაბარი ძალის განმეორებითი გაღიზიანების დროს ნერვული სისტემის საპასუხო რეაქცია შეიძლება მეტად მნიშვნელოვნად გაძლიერდეს და ეს არის მთავარი, მეორე, სეჩენოვმა ბრწყინვალე ცდებით დაამტკიცა რეფლექტორული აქტების ცენტრალური შეკავების (შეფერხების) მოვლენა. უკანასკნელი აღმოჩენა, ი. პ. პავლოვის სიტყვით, რუსული გონების პირველი უდიდესი წვლილი იყო ფიზიოლოგიაში.

ამ აღმოჩენამ ი. მ. სეჩენოვს საშუალება მისცა 1863 წელს დაეწერა შესანიშნავი ტრაქტატი სათაურით: „თავის ტვინის რეფლექსები", რომლის არსს ძალიან კარგად გვიჩვენებს მისი თავდაპირველი სათაური „ცდა იმისა, რომ ფსიქოლოგიურ მოვლენათა წარმოშობის ხერხებს საფუძვლად დაედოს ფიზიოლოგიური მოვლენები". ეს სათაური ჟურნალ „სოვრემენიკის" რედაქციისა, სადაც სტატია დასაბეჭდად მზადდებოდა, ცენზურული მოსაზრებებით შეცვალეს. შემდეგ ცენზურამ საერთოდ აკრძალა ამ ნაშრომის გამოქვეყნება „სოვრემენიკში".

სეჩენოვის შრომის გამოქვეყნებას რეაქცია გაავთრებული შეხვდა. (იგი ჯერ გამოქვეყნდა ჟურნალ „მედიცინსკი ვესტნიკში", შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა). იყო იმის ცდაც, რომ ავტორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ. სეჩენოვს „წითელი" პროფესორის, „ნიჰილისტების" ბელადის სახელი შეერქვა. გამოიყენეს რა შემთხვევითი საბაბი, ბნელეთის მოციქულებმა გააძევეს სეჩენოვი სამედიცინო-ქირურგიული აკადემიიდან. მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა ივანე მიხეილის-ძის მხნეობა. მას სამართალში მიცემით დაემუქრნენ. ამაზე სეჩენოვმა უპასუხა, ადვოკატად სასამართლოში ბაყაყს მოვიყვან და, მასზე რომ ცდებს მოვახდენ, იმით დავამტკიცებ ჩემს სიმართლესო.

მთელმა რიგმა მოსყიდულმა მჯღაბნელებმა სცადეს სახელი გაეტეხათ ი. მ. სეჩენოვისათვის და გაებათილებინათ შეხედულებანი, რომლებიც მან „რეფლექსებში" ჩამოაყალიბა. მაგრამ ვერც რეაქციონერმა პუბლიცისტმა კაველინმა, ვერც იდეალისტმა სტრახოვმა თავიანთ სტატიებში და წიგნებშიც კი არსებითი ვერაფერი დაუპირისპირეს სეჩენოვის მატერიალისტურ შეხედულებებს. ხოლო სეჩენოვის შრომის გამოსვლის 15 წლის შემდეგ იგივე კაველინი წერდა ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს სტასოვს: ფსიქოლოგიის დარგში „ამიერიდან მუშაობა შეიძლება მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელსაც ფიზიოლოგები და სეჩენოვი მიჰყვებიანო..."

ი. მ. სეჩენოვი სიცოცხლის დასასრულამდე ავითარებდა თავის აზრებს თავის ტვინის მოქმედების შესახებ. მისი ნაშრომები: „ვინ და როგორ დაამუშაოს ფსიქოლოგია", „აზრის ელემენტები", „შთაბეჭდილებანი და სინამდვილე" აღრმავებენ და აზუსტებენ მატერიალისტურ შეხედულებებს. კ. ა. ტიმირიაზევი, ხაზგასმით აღნიშნავდა რა სეჩენოვის როლს ბუნებისმეტყველებაში, ტყუილად როდი წერდა, სეჩენოვი „მეცნიერული ფსიქოლოგიის დარგში თითქმის ყველაზე ღრმა მკვლევარი იყოო".

ნერვული სისტემის მოქმედების შესასწავლად სეჩენოვის მიერ წარმოებულმა გამოკვლევებმა მთელი ეპოქა შექმნეს ფიზიოლოგიის ამ დარგში. ი. პ. პავლოვის სიტყვით, ეს გამოკვლევები „სეჩენოვის აზრის გენიალური აღმაფრენა" იყო. იყო გამოკვლევათა სხვა დარგებიც, სადაც სეჩენოვმა აგრეთვე უღრმესი კვალი დატოვა. ჯერ-ერთი, ეს იყო ნაშრომები ორგანიზმის სუნთქვის ფუნქციის შესწავლის დარგში. შეიმუშავა რა სწორი წარმოდგენა, თუ რა მიზეზით დაიღუპა რამდენიმე ფრანგი აერონავტი, რომელნიც წარსულ საუკუნეში აეროსტატით რვა კილომეტრ სიმაღლეზე ავიდნენ, სეჩენოვმა დიდი დრო და ძალები მოახმარა იმას, რომ დაემტკიცებინა, თუ რამდენი ჟანგბადი გვაქვს სისხლში და რა პირობებში ვითარდება ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა. ახლა სუნთქვის შესახებ მეცნიერებაში მოქალაქეობის უფლება მოიპოვა „სეჩენოვის კანონმა", სადაც ზუსტად არის აღნიშნული, თუ რამდენია ცხოველისა და ადამიანის სისხლში ჟანგბადი და ნახშირმჟავა გაზი. სეჩენოვი სამართლიანად ითვლება შრომის ფიზიოლოგიის მოძღვრების მამამთავრად. დაიწყო რა თავის თავზე, როგორც იგი ამას ჩვეულებრივ სჩადიოდა თავისი სხვა ნაშრომების დროსაც, იმის გამორკვევა, თუ რა პირობებში შეიძლება საუკეთესო ეფექტის მიღწევა კუნთების მოქმედებისას, გამოიკვლია რა საკითხი, თუ როგორ შეიძლება ყველაზე ადვილად ვიბრძოლოთ კუნთების მოქანცვის წინააღმდეგ, მეცნიერმა დაწერა „ნარკვევები ადამიანის სამუშაო მოძრაობის შესახებ". ამ ნარკვევებში უაღრესად ნათლად არის ჩამოყალიბებული კუნთების მუშაობის ფიზიოლოგიის ბევრი საკითხი.

სეჩენოვს ხალხისადმი ერთგული სამსახური არ შეუწყვეტია თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. 1904 წელს, სიკვდილის ერთი წლის წინათ, იგი ფიზიოლოგიაში ლექციებს კითხულობდა პრეჩისტენკის სალამოს კურსებზე მუშებისათვის და ამ ლექციების დროს ცდებს ახდენდა ცხოველებზე. 75 წლის პროფესორის ასეთი მოღვაწეობა საშიშად მიიჩნიეს მეფის მოხელეებმა, რომლებმაც ივანე მიხეილის-ძე არ დაამტკიცეს შტატის ლექტორად.

მთელ თავის სიცოცხლეში ი. მ. სეჩენოვი გვიჩვენებდა უდიდესი მოკრძალების, საკუთარი თავისადმი მეტისმეტი მომთხოვნელობის ნიმუშს, ყოველივე იმისადმი შეურიგებელი ბრძოლის ნიმუშს, რაც ეწინააღმდეგებოდა მეცნიერულ ჭეშმარიტებას. სახე დიდი მეცნიერისა, „რუსული ფიზიოლოგიის მამისა", როგორც მას ი. პ. პავლოვმა უწოდა, კრისტალური სიწმინდის, პრინციპულობისა და ხალხისადმი ერთგული სამსახურის მაგალითია.

**პროფესორი მ. უსიევიჩი,**
სტალინური პრემიის ლაურეატი.

## ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება

პრაღა, 11 აგვისტო. (საკდესი). ხელფასის ზრდა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკა, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩეხოსლოვაკიის სახალხო ხელისუფლება და კომუნისტური პარტია, ხელს უწყობს ჩეხოსლოვაკიის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ შემდეგი ფაქტები: მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიყიდა ბრინჯი ექვსჯერ, შაქარი — ერთნახევარჯერ, პარკოსნები — 17-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში. 1954 წლის აპრილში ფასების შემცირების შემდეგ ერბო-კარაქის გაყიდვა გადიდდა ერთიორად, ყავისა — 25 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო საქონლის — ავეჯის, ტელევიზორების, ველოსიპედების, რადიომიმღებების, მტვერსასრუტების, ფოტოაპარატების გაყიდვა. მკვეთრად გაძლიერდა მოთხოვნილება ავტომობილებსა, მოტოციკლებსა და მაცივრებზე.

## კორეის განთავისუფლების დღის წინ

ფხენიანი, 11 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქმედითად ემზადებიან საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-9 წლისთავის დღესასწაულისათვის. ფხენიანში, პროვინციულ და სამაზრო ცენტრებში, სოფლებში ეწყობა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ლექციები და საუბრები, ფოტოგამოფენები.

დღეს ჩრდილოეთ კორეაში იწყება საბჭოთა ფილმების ფესტივალი, რომელიც 28 აგვისტომდე გასტანს.

დღესასწაულისათვის ემზადებიან აგრეთვე კორეელი მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები. განთავისუფლების დღის აღსანიშნავად მოწყობილია კონკურსი ლიტერატურის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებზე.

დამთავრდა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა შერჩევითი დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 50-ათასზე მეტმა კაცმა. საბოლოო დათვალიერება გაიმართება ფხენიანში აგვისტოს მეორე ნახევარში. 12-16 აგვისტოს ფხენიანის აღდგენილ სტადიონზე გაიმართება სრულიად კორეის სპარტაკიადა მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ეროვნულ ჭიდაობაში.

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტი

ბუქარესტი, 12 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით რუმინეთის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ტრანსპორტის აღდგენას, რომელიც მძიმედ დაზარალდა ომის დროს.

1950 წლისათვის მთელი რკინიგზის ქსელი მთლიანად აღდგენილ იქნა, ხოლო 1953 წლისათვის იგი უკვე მნიშვნელოვნად სჭარბობდა ძველი რუმინეთის რკინიგზების სიგრძეს. აშენდა ახალი რკინიგზის ხაზები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ: ბუმ-ბეშტი-ლივეზენი, ფეურეი-გალაც-ტეკუჩი და სალვა-ვიშეუ. რკინიგზის მთელ რიგ მაგისტრალებზე გაყვანილ იქნა მეორე ხაზი. აიგო ახალი სადგურები, რკინიგზის სახელოსნოები და დეპოები. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებელმა მრეწველობამ გამოუშვა ახალი ტიპების თანამედროვე ორთქლმავლები, სამგზავრო და სატვირთო ვაგონები. წლითიწლობით იზრდება ტვირთზიდვა და მგზავრების გადაყვანა რკინიგზებზე.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა სახალხო მეურნეობაში საავტომობილო ტრანსპორტს. სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ავტოსატრანსპორტო ხაზების სიგრძე ორნახევარჯერ გადიდდა. 1938 წელთან შედარებით ტვირთზიდვის მოცულობა გადიდდა თორმეტჯერ, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი — 45-ჯერ.

განუხრელად ვითარდება სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი. შარშან წყლის ტრანსპორტით გადაზიდულ იქნა სამჯერ უფრო მეტი ტვირთი, ვიდრე 1948 წელს. დღეს ტვირთზიდვას მდინარეებით თითქმის მთლიანად რუმინეთის გემები ახორციელებენ, მაშინ როცა ბურჟუაზიულ რუმინეთში გემების სამი მეოთხედი უცხოური იყო. მთავარი სამდინარო და საზღვაო ნავსადგურები გადაკეთებული და აღჭურვილია უახლესი დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმებით.

სახალხო ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეული საავიაციო საზოგადოება „ტარსის" შექმნის შემდეგ საავიაციო ხაზებს მთლიანად უწევენ მომსახურებას საბჭოთა კავშირიდან მიღებული თანამედროვე თვითმფრინავები. საშინაო საჰაერო ხაზების ქსელი გაფართოვდა. 1949 წელთან შედარებით თვითმფრინავებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა შარშან 3,3-ჯერ გადიდდა. იზრდება ავიაქიმიის როლი ჯანმრთელობის დაცვაში, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში.

## საფეიქრო საწარმოების მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 12 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ექვსწლიანი გეგმის თანახმად, ფართოდ ვითარდება საფეიქრო მრეწველობა. ამ უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა ისეთი დიდი საფეიქრო კომბინატები როგორიცაა, მაგალითად, პიოტრკოვსკის და ანდრიხოვსკისა, აგრეთვე სართავი ფაბრიკები ბელიავსა და პაბიანიცეში, გამომყვანი ფაბრიკა ოზორკუვში და სხვები.

ბელოსტოკის სავოევოდოში ქალაქ ზამბრუვის განაპირას აგებენ ახალ საფეიქრო კომბინატს. ეროვნული დღესასწაულის — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავის დღეებში კომბინატში საექსპლოატაციოდ იქნა გადაცემული სართავი ფაბრიკა. ამჟამად გაჩაღდა საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც მომავალ წელს გამოუშვებს პირველ პროდუქციას. ბელოსტოკის სავოევოდოში შენდება აგრეთვე საფეიქრო კომბინატი ფასტში და ბამბეულის ფაბრიკა ვალილში. ლოძში შენდება დიდი სართავი ფაბრიკა.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საღამოს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 398 ხმით 126 ხმის წინააღმდეგ აზრი გამოთქვა, რომ 27 აგვისტოსათვის გადაიდოს ინტერპელაციების განხილვა ტუნისისა და მაროკოს შესახებ. განხილვის გადადებას მოითხოვდა მთავრობა.

შემდეგი სხდომა, რომელიც 11 აგვისტოს ნაშუადღევს გაიმართება, მიეძღვნება მეორე წაკითხვით კონსტიტუციის რეფორმის კანონპროექტის განხილვას.

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ეროვნული კრების საღამოს სხდომაზე განხილულ იქნა მთავრობის მოთხოვნა, რომ 27 აგვისტომდე გადაიდოს განხილვა ინტერპელაციებისა ტუნისში წარმოებული პოლიტიკის შესახებ. ინტერპელაციების ავტორებს მხოლოდ რამდენიმე წუთი მიეცათ გამოსვლისათვის. მაგრამ ამ საკითხის განხილვა შუაღამემდე გაგრძელდა. „სოციალური რესპუბლიკელები" დრონი და რენჟარი, „დამოუკიდებელი რესპუბლიკელი" კილისი და სხვა მემარჯვენე დეპუტატები გამოვიდნენ მენდეს-ფრანსის მთავრობის წინააღმდეგ მის მიერ ტუნისში წარმოებულ მოლაპარაკების პოლიტიკასთან დაკავშირებით. მოულოდნელი იყო ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მარტინო-დეპლას გამოსვლა, რომელმაც გაილაშქრა ტუნისის მთავრობაში „ნეო-დესტურის" პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

უპასუხა რა პოლემიკური კილოთი აღნიშნულ ორატორებს, მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეტანილი ინტერპელაციების განხილვის გადადების საკითხზე კენჭისყრას იგი აძლევს ტუნისში მთავრობის პოლიტიკის მოწონების მნიშვნელობას. მენდეს-ფრანსი მიემხრო „ნეო-დესტურის" პარტიის მონაწილეობას ტუნისის მთავრობაში.

შემდეგ სიტყვა მიეცა კომუნისტ დეპუტატს მალიერე-ჟუენვილს, რომელმაც განაცხადა, რომ კომუნისტები ხმას მისცემენ ინტერპელაციების განხილვის გადადებას.

სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წარმომადგენელმა შნეიტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური თანამოაზრეები თავს შეიკავებენ კენჭისყრის დროს. 398 ხმით 126 ხმის წინააღმდეგ გადაწყდა ტუნისის მდგომარეობის შესახებ ინტერპელაციების განხილვა გადატანილ იქნას 27 აგვისტოსათვის.

## მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობით, მდგომარეობა მაროკოში კვლავ დაძაბულია. როგორც გაზეთი „ფრანტირერი" აღნიშნავს, ადგილობრივი მოსახლეობა გამოეხმაურა ნაციონალისტური პარტიების მოწოდებას მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა წინანდელი სულთანის სიდი მაჰომედ ბენ იუსეფის ჩამოგდების წლისთავთან დაკავშირებით. კასაბლანკაში, ფესში, რაბათში, პორტ-ლიოტეში, მარაკეშსა და სხვა ქალაქებში გუშინ დაიხურა მაროკოელთა კუთვნილი ყველა მაღაზია. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა, ბევრი სამრეწველო საწარმოს მშრომელებმა, ავტობუსების შოფრებმა და სხვ.

საფრანგეთის ჯარებისა და პოლიციის დიდმა ძალებმა პორტ-ლიოტეში მოაწყეს ეგრეთწოდებული „ჩხრეკის" ოპერაცია. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ეს ყველაზე დიდი ოპერაცია იყო მაროკოს მთელი ისტორიის მანძილზე. ათი ათასი არაბიდან, რომლებიც შეამოწმეს, დაკავებულ იქნა სამი ათასი. აქედან დაახლოებით ორი ათასი არაბი ჯერაც პოლიციაში იმყოფება. ქალაქი ფაქტიურად საალყო მდგომარეობაშია. არაბთა უბნები გარშემორტყმულია უცხოეთის ლეგიონის ჯარისკაცებით, მობილური გვარდიითა და მაროკოელი მსროლელებით. ქალაქის ქუჩებში პატრულობენ ჯარისკაცებისა და პოლიციის რაზმები. არაბ მოსახლეობაში ჩხრეკის დროს ქალაქის თავზე დაფრინავდნენ რეაქტიული თვითმფრინავები.

## რეაქციის თარეში გვატემალაში

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ გვატემალიდან იუწყება, მმართველმა ხუნტამ მიიღო დადგენილება დათხოვნილ იქნან პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირული ჯგუფები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერდნენ პრეზიდენტ არბენსის მთავრობას.

დადგენილებაში აკრძალულია ყოველგვარი მიმართულების ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნა და ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა ეროვნული კრების მოწვევამდე. აკრძალულია რკინიგზელთა, მასწავლებელთა და „იუნაიტედ ფრუტკომპანის" მუშათა პროფკავშირები, აგრეთვე გვატემალის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაცია და სოფლის მეურნეობის მუშათა ეროვნული კონფედერაცია.

## ემბარგოს პოლიტიკის შედეგები

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ამას წინათ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიში ჰონკონგის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ცხადყოფს, რომ შეერთებული შტატების მიერ ნაკარნახევი ემბარგოს პოლიტიკა დამღუპველად მოქმედებს ინგლისის ამ კოლონიის საგარეო ვაჭრობაზე. ჰონკონგის ექსპორტის მოცულობა ჩინეთში 1953 წელს შეადგენდა 1951 წლის ექსპორტის მხოლოდ მესამედს.

ამავე დროს ჰონკონგის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ერთიორად შემცირდა, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატები არ ყიდულობენ ჰონკონგის ბევრ საქონელს და მას „ჩინურ" საქონლად აცხადებენ.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" წერს, რომ ამერიკის პოლიტიკამ ჰონკონგის ეკონომიკას მეტად „საგრძნობი ზარალი მიაყენა".

## ამერიკის შეერთებული შტატები სირიის საშინაო საქმეებში ერევიან

კაირო, 11 აგვისტო. (საკდესი). სირიის გაზეთები იუწყებიან სირიის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი ჩარევის ფაქტების შესახებ. პრესის ცნობებით, ამა წლის ივლისის დამლევს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სირიაში ინახულა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით მოითხოვა სირიის მთავრობამ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაში.

სირიის გაზეთებმა საკადრისი პასუხი გასცეს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის ამერიკულ პოლიტიკას. მაგალითად, გაზეთი „ასსარხა" წერდა: „დაე ამერიკამ იცოდეს, რომ კომუნისტური ჩინეთი ჩვენ, არაბებს, გვეპყრობა უეჭველად უფრო კარგად, ვიდრე ამერიკა, რადგან იგი იბრძვის ოკუპაციის წინააღმდეგ, იმპერიალიზმისა და ხალხთა დამცარების წინააღმდეგ. ამიტომ დავთანხმდით მონაწილეობა მიეღო მას დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაში. სირიის მთავრობამ რაც შეიძლება უფრო მალე უნდა დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთთან".

ანალოგიური კომენტარით გამოვიდა აგრეთვე დამასკოს გაზეთი „ალ-ხადორა".

## „შუმანის გეგმის" შედეგები

### მდგომარეობა ბელგიის ქვანახშირის მრეწველობაში

ბრიუსელი, 11 აგვისტო. (საკდესი). ბელგიის ქვანახშირის მრეწველობა მძიმე კრიზისს განიცდის. პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობებით, ბელგიის შახტებში დაგროვდა 4 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი, რომელიც ვერ საღდება.

მეშახტეთა შორის იზრდება უმუშევრობა. მთელ რიგ შახტებს მოელის დახურვა, რადგან ეგრეთწოდებულ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების" უმაღლეს ორგანოს (შექმნილია ეგრეთწოდებული „შუმანის გეგმის" მიხედვით) ისინი „არარენტაბელურად" მიაჩნია.

ამავე დროს შეერთებული შტატები, როგორც პრესა იუწყება, ცდილობენ განაახლონ თავისი ქვანახშირის ექსპორტი ბელგიაში. ბელგას სააგენტო იუწყება, რომ შემდეგ კვირაში ბელგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყება მოლაპარაკება ამერიკის ქვანახშირის მიწოდების საკითხზე.

გაზეთი „დრაპო რუჟი", კომენტარს უკეთებს რა ამ ცნობებს, კითხულობს: ნუთუ გაგრძელდება ამერიკის ქვანახშირის მიწოდება ბელგიაში, მიუხედავად ქვანახშირის უდიდესი მარაგისა, რომელიც ბელგიის შახტებში დაგროვდა?

## სასამართლო პროცესი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმპერიალისტურ დაზვერვათა აგენტების ჯგუფის საქმეზე

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბერლინის დემოკრატიული სექტორის უმაღლეს სასამართლოში დაიწყო სასამართლო პროცესი ამერიკის დაზვერვის, დასავლეთ გერმანიის გელენის დაზვერვის ოთხი აგენტისა და დასავლეთის სხვა ჯაშუშური და ტერორისტული ორგანიზაციების საქმეზე.

სასამართლოს წინაშე წარმდგარი აგენტები პაულ რიდელი, რუდოლფ კლარე, კარლ რიხტერი და ჰილდეგარდ ბიუტნერი გაძვრნენ ხელმძღვანელ პოსტებზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის სამინისტროში. 1951 წლიდან დაწყებული წლს გაზაფხულზე მათი დაპატიმრების მომენტამდე ისინი ეწეოდნენ მავნებლურ საქმიანობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ჯაშუშურ ცნობებს აწოდებდნენ იმპერიალისტურ დაზვერვებს.

## ფინეთის სეიმის დეპუტატის კილპის გამოსვლა

ჰელსინკი, 12 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ვაპაა სანამ" გამოაქვეყნა სეიმის დეპუტატის ეინო კილპის სიტყვა ქალაქ ლახტიში ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის დღესასწაულზე.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, კილპიმ, კერძოდ, თქვა:

„საბჭოთა კავშირი მთელი ამ წლების მანძილზე გვიჩვენებდა, რომ მას კარგად ესმის ჩვენი პირობები და სიძნელეები. მოსკოვში ივლისის შუა რიცხვებში დადებული ახალი ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმება ფინეთის სხვადასხვა წრემ შეაფასა როგორც „კარგი შეთანხმება"... მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებოდნენ შეეწყვიტათ ან შეემცირებინათ მაინც თავიანთი მუშაობა, რაც მნიშვნელოვან უმუშევრობას გამოიწვევდა ჩვენში".

შეერთებული შტატების მიერ ფინეთის ზოგიერთ საქონელზე ბაჟის გადიდებას კილპიმ უწოდა „აშკარა სავაჭრო ომი".

კილპიმ აღნიშნა უცნაური მდგომარეობა, რომლის დროს ფინეთში ზოგიერთი მოღვაწე, რომელიც ილაშქრებდა სსრ კავშირთან სავაჭრო შეთანხმების წინააღმდეგ, ახლა მოითხოვს, რომ ფინეთი ვითომდა „თანასწორუფლებიანობისათვის" სასწრაფოდ შეუერთდეს სკანდინავიის სხვადასხვა კავშირს.

აზრი, რომ ფინეთმა მონაწილეობა მიიღოს „ჩრდილოეთის კავშირში", რომელსაც ზოგიერთი გეგმავს, თქვა კილპიმ, „მკვდრადშობილია". „ასეთ ლაპარაკს, — განაცხადა მან, — ზღვარი უნდა დაუდოს უკვე იმ ფაქტმა, რომ დანია და ნორვეგია კვლავ შედიან ატლანტიკის სამხედრო კავშირში, გასაგები უნდა იყოს, რომ მარტო ამ მიზეზით ასეთი ლაპარაკი საზიანოა როგორც ფინეთისათვის, ისე ჩრდილოეთის ქვეყნების ხალხთა ნამდვილი და ბუნებრივი თანამშრომლობისათვის".

## საბჭოთა მეცნიერები ჰოლანდიაში

ჰააგა, 12 აგვისტო. (საკდესი). ჰოლანდიაში 20 ივნისიდან იმყოფება საბჭოთა მეცნიერების ჯგუფი — სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — რომელმაც დაათვალიერა მებაღეობის ფერმები, სასათბურო მეურნეობანი, მეცხოველეობის საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი ფაბრიკები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, მათ შორის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლა ვაგენინგენში — ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ცენტრში. საბჭოთა მეცნიერები გაეცნენ ზღვისათვის წართმეული მიწების ათვისების მეთოდებს, აინტერესებდათ ბრძოლა ნიადაგის დამლაშებასთან წყალდიდობის შედეგად, რომელიც ჰოლანდიაში 1953 წელს მოხდა.

საბჭოთა მეცნიერებს ყველგან უაღრესად გულთბილად, გულითადად ხვდებიან.

## იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო წრეები დემოკრატიულ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას მოითხოვენ

ლონდონი. 12 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „მანჩესტერ გარდიანმა" გამოაქვეყნა თავისი ტოკიოელი კორესპონდენტის ტილტმენის სტატია დემოკრატიულ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებისათვის მოძრაობის შესახებ იაპონიაში.

„იაპონიასა და ჩინეთს შორის მზარდი ვაჭრობის პერსპექტივა, — წერს ტილტმენი, — იზიდავს იაპონელ მრეწველთა ფართო წრეებს. ისეთი ვაჭრობის შესაძლებლობა, რომელიც თუ არ გადაჭრის, შეამცირებს მაინც იაპონიის ეკონომიურ პრობლემებს, საპარლამენტო კამათის უცვლელი თემაა და იაპონელ მრეწველთა ყველა კრებაზე ლაპარაკის აუცილებელი საგანია..."

„ამ უკანასკნელ დროს, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — ინტერესი იაპონიის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობისადმი გაძლიერდა და საბჭოთა კავშირზე გავრცელდა. იუწყებიან, რომ ოსაკის მთელი რიგი ცნობილი ფირმები განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ დაირაზმონ ჯგუფად იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ კომუნისტურ ქვეყნებთან ვაჭრობას. ეს იქნება მესამე ჯგუფი იაპონიის სამრეწველო კომპანიებისა, რომლებიც თავიანთ ღონისძიებებს ამგვარივე მიზნით აერთიანებენ".

## უმუშევრობის ზრდა იაპონიაში

პეკინი, 12 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

როგორც ტოკიოდან იტყობინებიან, იაპონიის შრომის სამინისტროს მიმოხილვის თანახმად მიმდინარე წლის იანვრიდან მაისამდე იაპონიაში დაითხოვეს 78.351 მუშა. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში დათხოვნილი მუშების რაოდენობა.

მუშები დაითხოვეს წარმოების შემცირების ან მრეწველობის სამოქალაქო დარგების მთელ რიგ საწარმოთა და, განსაკუთრებით, საფეიქრო საწარმოთა სრულიად დახურვის გამო.

## სამგაფიცვო მოძრაობა იაპონიაში

შანხაი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, გუშინ ხოკაიდოზე მუშებმა, რომლებიც ამერიკის ჯარებს ემსახურებიან, გაფიცვა გამოაცხადეს ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა მიერ 4.200 მუშის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაფიცულნი მოითხოვდნენ აგრეთვე ხელფასის გადიდებას.

გაფიცულებთან სოლიდარობის ნიშნად კანტორის მოსამსახურეებმა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებს ემსახურებიან, „იტალიური" გაფიცვა მოაწყეს.

## უბედურ შემთხვევათა რიცხვის ზრდა ავსტრიის საწარმოებში

ვენა, 10 აგვისტო. (საკდესი). მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერება, უსაფრთხოების სუსტი ტექნიკა იწვევს უბედურ შემთხვევათა ზრდას ავსტრიის საწარმოებში.

როგორც გაზეთი „ნოიე ცაიტი" იუწყება, 1948 წელს ავსტრიის ფაბრიკა-ქარხნებში მოხდა 88 ათასი უბედური შემთხვევა, ხოლო 1952 წელს მათმა რიცხვმა 130 ათასს გადააჭარბა. ამჟამად ავსტრიის საწარმოებში ყოველ წუთს ხდება უბედური შემთხვევა. უბედური შემთხვევების გამო ავსტრიის წარმოებაში ყოველ დღე საშუალოდ ორი კაცი იღუპება.

# თბილისი



## კენგურუ თბილისის ზოოპარკში

თბილისის ზოოლოგიურმა პარკმა მიიღო იშვიათი ექსპონატი — წყვილი ნაცრისფერი კენგურუ. ეს ცხოველი თბილისის ზოოპარკში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რასაც ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობა იჩენს მისდამი.

კენგურუ ჩანთოსან ძუძუმწოვართა წარმომადგენელია. თანამედროვე ჩანთოსნებს შორის იგი ყველაზე დიდი ზომისაა. მისი სიგრძე 2 მეტრს აღწევს. თავი შედარებით მცირე ზომისა აქვს, მოძრაობს ხტუნვით, უკანა კიდურების დახმარებით. დიდ კენგურუს შეუძლია სიგრძეზე 10 მეტრამდე, ხოლო სიმაღლეზე 3 მეტრამდე გადახტომა. მოძრაობის წესის გამო ძლიერ განვითარებული აქვს უკანა კიდურები, წინა კიდურები კი შედარებით მოკლე და განუვითარებელი აქვს, მათ ძირითადად მხოლოდ საკვების დასაჭერად ხმარობს. კენგურუსათვის დამახასიათებელია ძლიერი კუდი, რომელიც ჯდომის დროს მისთვის დამატებით დასაყრდენს წარმოადგენს, ხოლო ხტომის დროს წონასწორობას უნარჩუნებს. კბილები მოწყობილი აქვს მცენარეული საკვების მისაღებად. მისი კანი დაფარულია ნაცრისფერი, იშვიათად ოქროსფერი სქელი ბეწვით, გვხვდება მუქი ზოლებიანი შეფერადებაც. მუცლის მხარეზე აქვს ჩანთა. მაკეობა გრძელდება 39 დღემდე, შობს ერთ ან ორ შვილს, რომელთა სიგრძე რამდენიმე სანტიმეტრს არ აღემატება. ნაშიერს ათავსებს ჩანთაში, სადაც მთავრდება მისი განვითარება. ჩანთაში ყოფნა გრძელდება 6-8 თვემდე. განვითარების პერიოდში პატარა კენგურუ იშვიათად გამოდის ჩანთიდან და მალე ისევ უბრუნდება მას.

კენგურუ გავრცელებულია ავსტრალიის ველებში და ნაწილობრივ ახალ გვინეაზე.

კენგურუსი გამოსადეგია ძვირფასი ბეწვი და ხორცი.

**შ. სირბილაძე,**
**თბილისის ზოოპარკის დირექტორი.**

**სურათზე:** კენგურუ თბილისის ზოოპარკში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის მშენებლობა თბილისში

დიღუბეში მიმდინარეობს ახალი დიდი საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა გამოუშვებს საუკეთესო ხარისხის სუნამოს, ოდეკოლონს, სხვადასხვა სატუალეტო სურნელოვან წყლებს, პუდრს, კბილის ფხვნილს, პასტას და სხვ.

წელს ფაბრიკის მშენებლობისათვის გამოყოფილია 2.100 ათასი მანეთი, ხოლო სულ დაიხარჯება 19 მილიონი მანეთი. მშენებლობის დამთავრება განზრახულია 1956 წლისათვის.

### ქალაქის ქრონიკა

## ფართო მოხმარების საქონლის მრავალფეროვნება

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ ორჯონიკიძის რაიონში გახსნა ახალი საწარმო, რომელიც უშვებს ფართო მოხმარების ლამაზ ნაკეთობებს. ამ საწარმომ უკვე გამოუშვა ახალი ნიმუშების ლამაზად შეფუთული 2.500 მარაო. სულ წლის ბოლომდე გამოშვებულ იქნება 15.000 მარაო.

მალე დაიწყება საბავშვო დასაკეცი სკამების გამოშვება. ეს საწარმო თბილისში პირველი ეუფლება წნული ავეჯის — სკამების, მაგიდების, წიგნის თაროების, დივნების და სხვ. გამოშვებას. წლის ბოლომდე დამზადებულ იქნება 100.000 მანეთის ასეთი ავეჯი.

* * *

ფართო მოხმარების მრავალნაირ საგნებს უშვებს თბილისის ვოროშილოვის სახელობის არტელი. აქ მზადდება თუჯის ნაწილები ფილაქურებისათვის, ნახშირის უთოები, სოფლის მეურნეობისათვის ას, ორას და სამასლიტრიანი რკინის კასრები, სამყნობი დანები, ჩაის სასხლავი მაკრატლები და სხვ.

წელს აქ ექვს თვეში გამოშვებულია 2.225.000 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 1.767.000 მანეთისა, გეგმა შესრულებულია 125,9 პროცენტით, ხოლო ივლისში არტელმა დავალება 120 პროცენტით შეასრულა.

პირველი კვარტალის მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს პროფსაბჭომ არტელს ადგილობრივი მრეწველობის ხაზით მიაკუთვნა პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და 18.000 მანეთი ფულადი პრემია, ხოლო მეორე კვარტალის მაჩვენებლებისათვის — მეორე ადგილი და 12.000 მანეთი ფულადი პრემია.

არტელმა წელს აითვისა ბაღის სასხლავი მაკრატლის დამზადება. წლის ბოლომდე გამოუშვებს ხუთი ათას ცალ ასეთ მაკრატელს.

## კედლის გაზეთების დათვალიერება

დამთავრდა თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კედლის გაზეთების დათვალიერება, რომელიც მოაწყო სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლმა. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაღაზიების, სასადილოების, სავაჭრო დაწესებულებების და სხვ. 28 სარედაქციო კოლეგიამ.

დათვალიერების ჟიურის დასკვნით თბილისის კვებვაჭრობის მარცხენა ნაპირის ტრესტის № 3 სასურსათო მაღაზიის კედლის გაზეთი მიჩნეულია საუკეთესოდ მასში მოთავსებული წერილების თემატიკის მრავალფეროვნებით, სადღეისო საკითხების გაშუქებით. გაზეთი კარგად არის გაფორმებული, ბევრია საქმიანი, კრიტიკული შენიშვნა. კედლის გაზეთს ჰყავს ავტორთა მუდმივი აქტივი.

ამ გაზეთის სარედაქციო კოლეგიას გადაეცა სიგელი და საქართველოს სახვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფულადი ჯილდო.

## ფეხბურთი

გუშინ „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „ბ" კლასის კოლექტივების შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ქ. სვერდლოვსკის სპორტსაზოგადოება „ავანგარდის" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები. თამაში ჩატარდა თბილისელების აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

**რედაქტორის მოადგილე**
**რ. ქურციკიძე.**


**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

**14 აგვისტოს**

**ფეხბურთი**

**შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე**
**„ა" კლასის ოსტატთა გუნდებს შორის**

**„დინამო"** (კიევი) — **„დინამო"** (თბილისი)

**დასაწყისი 18 ს. 15 წ.**

**უსინათლო ბავშვთა მშობლების საყურადღებოდ**

უსინათლო ბავშვებისათვის არსებობს სპეციალური 8-კლასიანი სკოლა-ინტერნატი. სწავლის დამთავრებამდე ბავშვები აქ იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაფერისი ასაკის უსინათლო ბავშვები მიიღებიან როგორც პირველ კლასში, ისე სხვა კლასებში იმის მიხედვით, თუ რომელი კლასებიდან არიან გამოსული.

განცხადებათა მიღება იწარმოებს 1 სექტემბრამდე. ბავშვები ჩამოყვანილ უნდა იქნან თბილისში ა. წ. 31 აგვისტომდე.

საჭიროა შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობა, ცნობა მხედველობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

**მისამართი:** თბილისი, გუთნის ქ. № 6.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **პეტრე მიხეილის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 3 ს. ბარნოვის ქ. № 54.

და ზინობია დგებუაძე, დისწული იპოლიტე, ცისანა, დავით საჯაიები, მანა აფაქიძე იუწყებიან **პეტრე მიხეილის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ლია, ალექსანდრე, რძალი ცაცა ქოიავები, სიძე ავქსენტი მიმინოშვილი შვილით ქანათი, შვილიშვილები ვიქტორ და მიხეილ კეკელიები, გურამ ხუნწარია, ნანი, თენგიზ და მანანა ქოიავები იუწყებიან **კონსტანტინე ალექსის-ძე ქოიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII, ქ. ოჩამჩირეში. მახარაძის ქ. № 2.

შვილი აბიბო, სიძე გიგლა, შვილიშვილები ნანული, მანანა ვაშაკიძეები, ძმა ანტონ, ძმისწული კუკური, და ნადეჟდა პაჭკორიები ოჯახებით იუწყებიან **მელანია ერასტის ასულ მეუნარგიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 8 ს. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. II საპროექტო ქ. № 53.

შვილები ნიკოლოზ, ეკატერინე, მარიამ, კ. ცირეკიძე, რძალი თამარ ვახტანგიშვილი, შვილიშვილები მარგალიტა, აკაკი, ნუცა, რევაზ, მედეა, კუკური, მარინე, თ. ტომარაძე იუწყებიან **ალათი საყვარელის ასულ სითათაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 5 ს. ხუდადოვის ქ. № 28.

დედა ოლღა, და ბაბილინა აბულაძეები, მეუღლე გიორგი, შვილები ნელი, ჯენარო თაბაგრები იუწყებიან **გოგუცა მარკოზის ასულ აბულაძე-თაბაგარის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-VIII, 8 ს. გამოსვენება 14-VIII, 6 ს. პეტრიაშვილის ქ. № 4.

შვილები ლოლა, თამარ, ელენე, რაჟდენ, რძალი ელენე, სიძეები შ. გოგუაძე, რ. ანისონიანი, გ. პეტრიაშვილი, შვილიშვილები ნოდარ, იულონ, ვლადიმერ, გენო, თინა, ნინელი, ცირინო, კუკური, ნოდარ იუწყებიან დედისა და ბებიის **მარიამ კონსტანტინეს ასულ ჩიმაკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მათხოჯში (წულუკიძის რაიონი).

მშობლები მარო, ნიკოლოზ, მეუღლე როზა, შვილი მერაბ, ბიძა დავით ხვიტიები, მამიდა მ. დავითაია, ბებია არდალიონი, დეიდა ვერა რუხაძეები იუწყებიან ინჟინერ-გეოლოგ **თენგიზ ნიკოლოზის-ძე ხვიტიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-VIII, 8 ს. გამოსვენება 15-VIII, 5 ს. ტელეგრაფის ჩიხი № 4.



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04653 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.